ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში

2019

წლიური ანგარიში

თავმჯდომარის მიმართვა

წლიური ანგარიში არის კარგი შესაძლებლობა შევაჯამოთ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა და დავსახოთ სამომავლო გეგმები, ჩვენს თანაქალაქელებს კიდევ ერთხელ მივაწოდოთ ინფორმაცია დასრულებულ და მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებზე, სიახლეებზე, რომელიც ჩვენი დედაქალაქის საკეთილდღეოდ ხორციელდება.

ჩვენი მოსახლეობის პრიორიტეტები და მოსალოდნელი შედეგების რაციონალური დასაბუთება არის ის კრიტერიუმები, რომლითაც ვხელმძღვანელობთ დედაქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას.

წლევანდელი წელი გამოირჩეოდა მსხვილი ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო პროექტებით, სარეკრეაციო და ისტორიული არეალების სარეაბილიტაციო სამუშაოებით. ასეთი პროექტების განხორციელებისას ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქალაქის ეკონომიკური აქტივობის პოტენციალის გაზრდა, საცხოვრებელი და სარეკრეაციო გარემოს გაუმჯობესება და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობის დაცვა.

ვიმედოვნებ მომავალი წელი ასევე დატვირთული იქნება ჩვენი ქალაქის და თანაქალაქელების კეთილდღეობისკენ მიმართული პროექტებით, რაც ხელს შეუწყობს თბილისში მობილობის გაზრდას (ან გადაადგილების გამარტივებას), ეკონომიკური აქტივობების ინტენსიფიკაციას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. წლიური ანგარიში კი კარგი შესაძლებლობაა გადავხედოთ იმ შედეგებს, რაც ჩვენს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მოიტანა.

გიორგი ტყემალაძე

შინაარსი

თავმჯდომარის მიმართვა 2

თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო 4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი 11

წესები და რეგულაციები 16

მუნიციპალური ქონების მართვა 17

გეოგრაფიული ობიექტების სახელდება 18

საკრებულოს ინიციატივები და სხვადასხვა აქტივობები 18

წარმომადგენლობითი ფუნქცია და საგარეო ურთიერთობები 22

წარმომადგენლობის საქმიანობა სამგორის სამაჟორიტარო ოლქში 24

თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – **მუნიციპალიტეტის საკრებულო.**

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა **4 წლის ვადით**, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებზე, **4 წლის ვადით,** ამომრჩევლებმა აირჩიეს საქართველოს დედაქალაქის თბილისის თვითმმართველი ორგანოს – საკრებულოს **50 წევრი,** აქედან **25 წევრი –** ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო **25 წევრი –** პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

2017 წლის 14 ნოემბერს შედგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს სხდომა.

საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის **საკრებულოს თავმჯდომარე.**

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმინობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

საკრებულოს აპარატის ორგანიცაზიული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმინობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური.

აპარტის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე.

აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.



VI მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 კომისია და 5 ფრაქცია.

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება დედაქალაქის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- **18** სხდომა
- **19** ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ **508** საკითხი, მიღებული იქნა **411 განკარგულება** და **98 დადგენილება**.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები დედაქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.



მუშაობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის მიზანია: ქალაქ თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

კომისიის საქმიანობა:

* განიხილავს საკრებულოს მიერ დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის საკითხებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.

* თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.
* თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 წევრი

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გაიმართა 24 სხდომა

კომისიის 30 სხდომაზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 251 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 183 ცვლილება, აქედან, 10 ფუნქციული ზონალური ცვლილება გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით და ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარების თვალსაზრისით 1 ზონალურ ცვლილებას მიეცა უარყოფითი შეფასება.

ასევე, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 68 პროექტი.

გარემოს დაცვის კომისია

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება:

* გარემოს დაცვას
* გარემოს დაცვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის ხელშეწყობას
* გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას
* გარემოს დაცვის ღონისძიებათა აქტიურ პროპაგანდას, სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავებას
* გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლა-შეფასებასა და მისი გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებათა განსაზღვრას
* ბუნებრივ გარემოზე საწარმოო საქმიანობის ზეგავლენას
* გამწვანება-განაშენიანებას, დაზიანებული და განადგურებული ტერიტორიების აღდგენას
* საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების აღკვეთასა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებას
* შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციების მართვის წესს და ასევე, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას
* დედაქალაქის ტერიტორიაზე წიაღისა და წიაღისეულის დაცვასა და აღწარმოებას

კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 8 წევრით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა გარემოს დაცვის კომისიის 24 სხდომა.

კომისიის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა 61 საკითხი.

საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

VI მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ რომელის შემადგენლობა განისაზღვრება 33 წევრით.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა
- დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
- ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
- თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შემქნილია საერთო პლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და სქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პეროიდში ჩატარდა 22 სხდომა

ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა 50-მდე საკითხი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული ბიუჯეტის დამტკიცებაა. ბიუჯეტი მოიცავს მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების დაფინანსებას დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით.



თბილისის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 147 მლნ ლარით გაიზარდა, რამაც ქალაქის შესაძლებლობები გააფართოვა, მათ შორის აღსანიშნავია:

ინფრასტრუქტურა

* 2019 წელს, თბილისში უპრეცედენტოდ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო, მათ შორის აღსანიშნავია ცენტრალური მაგისტრალების, გზების, ხიდების, გვირაბების როგორც სარეაბილიტაციო ასევე სამშენებლო სამუშაოები

ტრანსპორტი

* თბილისის მუნიციპალური ავტოპარკის განახლება გრძელდება. იმისთვის, რომ დედაქალაქის მოსახლეობის ტრანსპორტით გადაადგილება გაცილებით კომფორტული გახდეს განხორციელდა MAN-ის 10-მეტრიანი 90 ერთეული და ISUZU-ს მარკის 8-მეტრიანი, 220 ერთეული, დიზელის ძრავზე მომუშავე euro 6 ემისიის სტანდარტის ავტობუსების შესყიდვა. ასევე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოცხადებულია ტენდერი თბილისისთვის 12-

მეტრიანი CNG (გაზის) ძრავზე მომუშავე ავტობუსების შესყიდვაზე. მიმდინარეობს მუშაობა კიდევ 90 ერთეული 12-მეტრიანი ავტობუსების შესაძენად.

* მიმდინარეობს მუშაობა დედაქალაქისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების ერთ-ერთ მთავარ დოკუმენტზე, რომელსაც ფრანგული საკონსულტაციო კომპანია „სისტრა“ ახორციელებს. მოხდება ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაცია. ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მარშრუტების შესწავლასა და ხელახალ დაგეგმვას ითვალისწინებს. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებული იქნება მეტროპოლიტენის მუშაობის სპეციფიკაც. პროექტის საერთო ღირებულება 790 ათას ევროს შეადგენს, საიდანაც 490 ათასი EBRD-ს გრანტია, ხოლო - 300 ათასი ქალაქის ბიუჯეტის დაფინანსება.

* მეტროს ახალი ხაზების დამატება. პროექტს ავსტრიული კომპანია – ILF Consulting Engineers Austria GmbH მოამზადებს

* მეტროპოლიტენში აქტიურად მიმდინარეობს მეტრო სადგურების რეაბილიტაცია და მეტროს მოძრავი შემადგენლობის განახლება. მიწისქვეშა ტრანსპორტზე გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 40 ვაგონის შეძენაა დაგეგმილი, კაპიტალური შეკეთება-მოდერნიზაცია ჩაუტარდა 15 შუალედურ ვაგონს.

ეკოლოგია და გამწვანება

საკრებულოს მიერ დამტკიცებული თბილისის ბიუჯეტით დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების ფარგლებში მეტი მწვანე სივრცე, მეტი პარკი და სარეკრეაციო ზონა შეემატება თბილისს.

ისტორიული უბნების რეაბილიტაცია

გოძიაშვილის პარკი

* თბილისს ულამაზესი სივრცე - განახლებული ორბელიანის მოედანი შეემატა. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობის დაცვა, ეკონომიკური აქტივობის პოტენციალის გაზრდა, საცხოვრებელი და სარეკრეაციო გარემოს შექმნა-გაუმჯობესება - ეს არის პროექტის ძირითადი არსი, რომელიც წარმატებით განხორციელდა. ახლებური გააზრებით და ძველი კოლორიტის შენარჩუნებით ორბელიანის მოედანი ჩვენი ქალაქის კიდევ ერთ ტურისტულ ცენტრად გადაიქცევა.

* გრძელდება გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოხდება კიდევ 12 ნაგებობის რეაბილიტაცია. გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაცია პროექტ „ახალი ტფილისის“ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. მოხდება სულ 26 შენობის რეაბილიტაცია, რომელთაგან 22 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. პროექტი 2020 წლის ბოლომდე დასრულდება.

საერთაშორისო მხარდაჭერა გრანტის ფარგლებში

* დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ბიზნეს აქსელერატორის პროგრამა დაიწყო, რომელიც საკრებულოს მიერ დამტკიცებული ევროკავშირთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება.

  ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში (კიკვიძის) ბიზნეს აქსელერატორის სამუშაო სივრცე (სპარკი) ფუნქციონირებს.

  სპარკი სტარტაპერებს სთავაზობს სამუშაო სივრცეს და ბიზნეს გეგმის მომზადებაში დახმარებას, რაც თავის თავში მოიცავს ფინანსისტის, მარკეტერის, ანალიტიკოსის და უბრალოდ ბიზნეს გეგმების შექმნაში დახელოვნებული ადამიანის კონსულტაციებს.

  სტატისტიკა:

  - სპარკის სერვისებით ისარგებლა 1000-მდე პირმა;
  - 21 მეწარმეს კომპანია BDO-მ დაუწერა ბიზნეს გეგმა;
  - ჩატარდა 50 ტრენინგი 500-მდე პირის მონაწილეობით.

წესები და რეგულაციები

* თბილისს ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა აქვს.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც ჩვენი ქალაქის სახელმძღვანელო დოკუმენტია, თბილისის გრძელვადიან, სწორ, სისტემურ განვითარებას უზრუნველყოფს.

დედაქალაქის განვითარების მთავარი დოკუმენტი სამ ძირითად პრინციპზეა აგებული - მწვანე, შეკავშირებული, კომპაქტური ქალაქი.

მწვანე ქალაქის, კომპაქტურობისა და კარგად შეკავშირებულობის კონცეპტუალური მიმართულებების რეალიზებით, იქმნება თბილისის განვითარების მკაფიო სტრატეგია, რომლის შესრულებით შესაძლებელია ქალაქის წინაშე არსებული ურბანული პრობლემების ეტაპობრივი აღმოფხვრა.

ახალი გენერალური გეგმით ხელშეწყობილია ახალი მწვანე არეალების შექმნა, რითაც გამწვანების წილი არსებულ მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია.

თბილისის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით დედაქალაქის რეკრეციული ზონების ფართობი 4,189,540.83 მ² -ით გაიზარდა.

* განხორციელდა რეგულირების წესებში ცვლილებები, რაც კ2 კოეფიციენტის გადაჭარბების აკრძალვას გულისხმობს. ქალაქი გენერალური გეგმის ფუნქციური ზონებით განსაზღვრული კოეფიციენტებისა და პარამეტრების შესაბამისად განვითარდება.

- პარკირების სისტემის სრულყოფის, ვიზიტორთათვის პარკინგის გამარტივების, საპარკინგე ადგილებზე ქუჩის მცხოვრებთა წვდომის გაუმჯობესებისა და ზონებში არსებულ ქუჩებზე სატრანსპორტო ნაკადების შემცირების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისის ცალკეულ ქუჩებში ზონალურ-საათობრივი პარკირების შემოღების თაობაზე. 1 აგვისტოდან ზონალურ-საათობრივი პარკირება ეტაპობრივად ამოქმედდა 4 ქუჩაზე (A ზონა):
  - კოტე აფხაზის ქუჩა
  - აბანოს ქუჩა

- გრიშაშვილის ქუჩა
- ორბელიანის მოედანი

* სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება ტაქსების რეფორმაა. მთავარი ამოცანა არის ის, რომ ეს მიმართულება მოწესრიგებული იყოს, როგორც ტაქსის მძღოლებისთვის, ასევე, მათთვის ვინც ამ სერვისით სარგებლობს. პირველი ოქტომბრიდან ძალაში შევიდა რეფორმის მეორე ფაზა, რაც ნებართვის მქონე ტაქსებს A და B კატეგორიებად ყოფს. A კატეგორიის ტაქსის მძღოლებისთვის გამოიყო სპეციალური ვაუჩერები, რომელიც მათ აძლევს საშუალებას, ან გადაღებონ ავტომობილი ან თეთრი ფირი გადააკრან, ყოველგვარი ხარჯის გარეშე ასევე, მიეცათ საშუალება ქიმიური წმენდის ვაუჩერებით ესარგებლათ.

მუნიციპალური ქონების მართვა

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა და დაუკანონებელ ფართებში მცხოვრებთა დაკმაყოფილების პროცესი გრძელდება.

თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად:

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ 300-მდე ოჯახს, საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და ბინებით უზრუნველსაყოფად, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაეცა.
- ასევე, 776 მდე ოჯახს საკუთრებაში გადაეცა ის საცხოვრებელი ფართები, სადაც წლობით ცხოვრობდნენ.

გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 90-მდე გეოგრაფიული ობიექტის სახელდება, მათ შორის:

* ქართველი კინოხელოვანების ღვაწლის დაფასებისა და მათი სახელების უკვდავსაყოფად, თბილისის 10 ქუჩას ცნობილი კინომსახიობებისა და რეჟისორების სახელები მიენიჭა.
* აგვისტოს ომის ერთ-ერთი გამორჩეული გმირის უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელის უკვდავსაყოფად ისნის რაიონის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი მიენიჭა.

საკრებულოს ინიციატივები და სხვადსხვა აქტივობები

* USAID-ის მხარდაჭერით და „კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (CENN) ორგანიზებით შემუშავდა და 2019 წლის 23 ივლისს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი სამოქმედო გეგმა.

* მასშტაბური გამწვანების აქცა თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, საკრებულოსა და საპატრიარქოს ფონდის“ გაამწვანე საქართველოს“ ერთობლივი ინიციატივით განხორციელდა, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, გამწვანების ღონისძიებები გაიმართა დედამიწის დღესთან დაკავშირებით.

* საკრებულოსა და „ავერსი-ფარმას" შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის შედეგად, თბილისში რეგისტრირებულ იმ მოქალაქეებს, რომელთა მედიკამენტებით დაფინანსებასაც გამგეობები ახორციელებენ, "ავერსი-ფარმა" წამლებს შეღავათიან, ფასდაკლების დღეებში არსებული ფასებით მისცემს.

* თბილისის საკრებულოს ინიციატივით სამედიცინო სფეროს 90 წარმომადგენელი დაჯილდოვდა. ღონისძიებაზე 80-დან 100 წლამდე ასაკის მედიკოსებს დიპლომები, საპატიო სიგელები და საჩუქრები გადაეცათ.

* საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და საჯარო სექტორში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ურთიერთთანამშორმლობის მემორანდუმები გაფორმდა:
  - შავი ზღვის უნივერსიტეტთან;
  - ათასწლეულის ფონდ საქართველოს (MCA-Georgia)

  და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტ-საქართველოსთან;
  - რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდთან

* საკრებულო შეუერთდა ინიციატივას 23 აპრილის წიგნის ჩუქების დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით. ამ ინიციატივის ფარგლებში, სამგორის რაიონში მდებარე რამდენიმე საჯარო სკოლის დირექტორს სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის საჩუქრად წიგნები გადაეცა.

* ბიბლიოთეკების გამდიდრება მრავალფეროვანი ლიტერატურით მნიშვნელოვანია და ამ ინიციატივის მიზანს კარგად გამოხატავს.

  #აჩუქეწიგნისკოლას 📚

* საკრებულოს პროექტი - „თბილისის ისტორიები საკრებულოდან“ , რომელიც ჩვენს ქალაქს ეძღვნება, ყოველთვის საინტერესო და აქტუალურ თემებს გვთავაზობს. ~

* საკრებულოს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ორგანიზებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და თბილისის მერიის მხარდაჭერით, საფუძველი ჩაეყარა „თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგას“. ეს უპრეცედენტო პროექტია, რომელშიც დედაქალაქის 32 საჯარო სკოლის 400-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

* თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიც იატივით დაწყებული კამპანია ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს“ გრძელდებ აება. კამპანიის მთავარი მიზანია წარტამებული სპორტსემნების მონაწილეობით ახალგაზრდებში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

წარმომადგენლობითი ფუნქცია და საგარეო ურთიერთობები

* ევროპული სტანდარტებით თვითმმართველობის შემდგომი განვითარების მიზნით ქ. თბილისის საკრებულოს დელეგაცია მუდმივად თანამშრომლობს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესთან. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე:
  - ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 36-ე და 37-ე სესიებში (სტრასბურგი);
  - ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიმდინარე საკითხთა კომიტეტის შეხვედრაში (შტუტგარტში).
* საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ფარგლებში აქტიურად ვმონწილეობდით დეცენტრალიზაციის საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავებისა და განხილვის პროცესებში.
* საკრებულომ ევროპული კვირეულის ფარგლებში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის ერთობლივი ღონისძიებას უმასპინძლა, სადაც ევროსაბჭოს კონგრესის ხელმძღვანელებთან ერთად საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში კონგრესის როლზე და თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების შესაძლებლობებზე ვიმსჯელეთ.

ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეხვედრები შედგა:

* შვედეთის ელჩთან
* გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელთან საქართველოში
* პოლონეთის ელჩთან
* რუმინეთის ელჩთან
* საბერძნეთის ელჩთან
* კატალონიის მუნიციპალიტეტების ფედერაციის დელეგაციასთან
* ესპანეთის ბასკეთის მხარის დელეგაციასთან
* უკრაინის ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის წარმომადგენლების დელეგაციასთან

წარმომადგენლობის საქმიანობა სამგორის სამაჟორიტარო ოლქში

მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციების გაანალიზებით სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული იქნა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებებით.

მაჟორიტარი დეპუტატის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება სისტემატურად ოთხშაბათ დღეს.

წარმომადგენლობის ფუნქციონირების პერიოდში, ორგანიზებული იქნა მაჟორიტარი დეპუტატის 45 შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მოხდა 690-მდე მოქალაქესთან გასაუბრება. სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მოქალაქეებთან კომუნიკაციის მიზნით ჩატარდა 28 გასვლითი შეხვედრა.

საერთო ჯამში ზეპირი კონსულტაცია გაეწია 930-მდე მოქალაქეს.

მაჟორიტარი დეპუტატის სახელზე რეგისტრირებულია **142** განცხადება. წერილობითი შუამდგომლობა გაეწია **142** მოქალაქეს, მათ შორის **123** დადებითად დაკმაყოფილდა უარი ეთქვა **11** განმცხადებლს, ხოლო **8** განხილვის პროცესშია.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები

სოფელ ნასაგურში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში გაკეთდა ოთხკილომეტრიანი გზის მონაკვეთი. სრულად აღდგა ორი ხიდი. სამშენებლო არეალი კახეთის გზატკეცილიდან იწყება და მგელაძისა და იორის ქუჩების გავლით სოფელ ნასაგურში აფხაზეთისა და მაჩაბელის ქუჩებთან მიერთებით სრულდება.

განხორციელდა კახეთის გზატკეცილის გა აერეოპრტამდე მისასვლელი გზის სრული კაპიტალური რეაბილიტაცია.

მოხდა შიდა გზების მოწყობა, რაც 30-40 წლის განმავლობაში არ იყო მოწესრიგებული.

საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა:

- სოფელ ნასაგურში 4 მისამართზე
- ლილოს დასახლებაში 6 მისამართზე
- სოფელ დიდ ლილოში 5 მისამართზე
- აეროპორტის დასახალებაში 3 მისამართზე
- ორხევის დასახლებაში 7 მისამართზე
- ვარკეთილს დასახლებაში, აკ. წერეთლის ქუჩაზე

წყალარინება და წყალმომარაგების გაუმჯობესება

- გამგეობის მიერ საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია განხორციელდა ნასაგურში ნაძვების ქ. N4-ის მიმდებარედ, დიდ ლილოში ჭავჭავაძის ქუჩაზე და ორხევში 3 მისამართზე.
- კომპანია „ჯი ვი პიმ“ სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განახორციელა წყალსადენის და საკანალიცაზიო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები:

— ლილოს დასახლებაში, სტურუას ქუჩაზე
— ვარკეთილის დასახლებაში 3 მისამართზე
— ორხევის დასახლებაში 4 მისამართზე

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მოერ მოთხოვნილ 27 მისამართზე განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები

სკვერები და დასასვენებელი სივრცეები

- ორხევის, ლილოსა და აეროპორტის დასახლებებში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების დასასვენებელი სივრცეები
- დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები და გარე განათების ბოძები
- განთავსდა საბაღე სკამები

განათლება და სპორტი

- სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განთავსებული საბავშვო ბაღების უმრავლესობას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები
- დაგეგმილია 2 სრუალიად ახალი ბაღის მშენებლობა ვარკეთილის და ლილოს დასახლებებში, ასევე, მიმდინარეობს 5 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია
- მოეწყო თანამედროვე სტანდარტების სპორტული მოედნები: დიდ ლილოში, ლილოს დასახლებაში, ორხევის დასახლებაში და აეროპორტის დასახლებაში
- მოეწყო ფიტნეს ზონები და ტრენაჟორები განთავსდა 12 მისამართზე
- ლილოს დასახლებაში მდებარე სპორტულ კომპლექსში მიმდინარეობს საცურაო აუზის მშენებლობა
- ვარკეთილის დასახლებაში მიმდინარეობს სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია
- იგეგმება ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნების მშენებლობა
- მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით „თბილისის მუზეუმების კვირეულის“ ფარგლებში N76 სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყო ტური ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში
- მოსწავლეებისთვის მოეწყო ტური თბილისის ტექნოლოგიურ პარკში

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლების ფარგლებში ძველი ავტობუსები ახლით ჩანაცვლდა, ორხევში N56 სამარშრუტო ხაზზე და ლილოში N1 მარშრუტზე.

ფართების დაკანონება

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადაეცა 70-მდე ოჯახს.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით წარმომადგენლობის მიერ პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება სამგორის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

წარმომადგენლობის მიერ მომზადდა მოქალაქეებისათვის შემდეგი შუამდგომლობები:

- ერთჯერადი მიზნობრივი დახმარება 70

- მედიკამენტების დაფინანსებისთვის 42
- სამედიცინო გამოკვლევებისთვის 24

ანგარიში სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობისთვის

ჩვენი, როგორც თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლების საქმიანობის ამოსავალი წერტილი მოსახლეობისადმი ანგარიშვალდებულებაა. 24 ოქტომბერს სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობას სამგორში დასრულებული და მიმდინარე პროექტების, ასევე სხვა განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარვუდგინეთ.